

შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
მიწა	1	-	-
ძირითადი საშუალებები	1	676 858,00	520 584,00
არამატერიალური აქტივები	1	552,00	204,00
სულ გრძელვადიანი აქტივები		677 410,00	520 788,00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	497 713,00	371 487,00
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	95 662,00	112 178,00
გადახდილი ავანსები	3	25 422,00	30 137,00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	321 307,00	16 041,00
სულ მიმდინარე აქტივები		940 104,00	529 843,00
სულ აქტივები		1 617 514,00	1 050 631,00
ვალდებულებები			
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	5	356 468,00	475 903,00
საგადასახადო ვალდებულებები	6		
სასესხო ვალდებულებები	7	485 703,00	197 701,00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		842 171,00	673 604,00
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	-	171 415,00
გაუნაწილებელი მოგება	8	775 343,00	205 612,00
სულ კაპიტალი		775 343,00	377 027,00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1 617 514,00	1 050 631,00

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:



შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1		2 832 667,00
2	ბანკიდან სესხის მიღება	1 411 419,00
	სულ შემოსავალი	4 244 086,00
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	242 200,00
2	გადახდილი დივიდენდები	125 000,00
3	გადახდილი გადასახადები	372 474,00
4	სესხის გადახდა (ბანკი)	1 225 680,00
5	გადახდილი %	58 890,00
6	ბანკის მომსახურების ხარჯი	8 255,00
7	მომწოდებლებზე გადახდილი თანხები და სხვა ხარჯები	1 734 905,00
8	საწედებო კაპიტალის შემცირება	171 416,00
	სულ გასავალი	3 938 820,00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	16 041,00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	321 307,00



დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	თანხა
6 110	შემოსავალი რეალიზიციიდან	2 491 850,00
8 110	არასაოპერაციო შემოსავლები	18 273,00
	<u>სულ შემოსავალი</u>	<u>2 510 123,00</u>
	ხარჯები	
	პირდაპირი ხელფასი	
7 210	გაყიდული/შემძენილი საქონელი	1 156 915,00
7 410	შრომის ანაზღაურება	302 750,00
7 420	იჯარა	22 059,00
7 425	საოფისე ინვენტარი	84,00
7 430	კომუნიკაციის ხარჯები	2 214,00
7 440	რემონტი	20 005,00
7 450	საკონსულტაციო ხარჯები	7 397,00
7 453	სამეურნეო ხარჯი	304,00
7 455	ცვეთა და ამორტიზაცია	167 696,00
7 465	სხვა საგადასახადო ხარჯი	5 210,00
7 470	საკანცელარიო ხარჯი	424,00
7 491	წარმომადგენლობითი ხარჯი	222,00
7 490	სხვა საერთო ხარჯი	57 814,00
8 210	საპროცენტო ხარჯები	19 763,00
8 220	არასაოპერაციო ზარალი	9 192,00
7 490	კომუნალური ხარჯი	24 864,00
	<u>სულ ხარჯი</u>	<u>1 796 913,00</u>
	მოგება	<u>713 210,00</u>
	მოგების განაწილება	143 479,00
	დარჩენილი მოგება	<u>569 731,00</u>



Handwritten signatures in blue ink, including a large stylized signature and a smaller one below it.

შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

ბალანსი 31 დეკემბერი 2017 წელი	520 788,00
მიწის ნაკვეთები	-
მანქანა დანადგარები	381 178,00
მსუბუქი ავტომობილი	11 305,00
ავეჯი	2 408,00
არამატერიალური აქტივები	204,00
როტოგრაფიული ცილინდრები	116 535,00
სხვა ძირით.საშუალებები	9 158,00
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	677 410,00
მიწის ნაკვეთები	-
მანქანა დანადგარები	324 494,00
მსუბუქი ავტომობილი	9 044,00
ავეჯი	1 914,00
არამატერიალური აქტივები	552,00
როტოგრაფიული ცილინდრები	318 016,00
სხვა ძირით.საშუალებები	23 390,00



დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	საღებავები	126 813,00
2	ქაღალდი	164 463,00
3	სპირტი და გამხსნელები	10 725,00
4	ტულკები	9 308,00
5	ეტიკეტები-მზა პროდუქცია	186 404,00
		497 713,00



დირექტორი

ფინანსური მენეჯერი:

შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება;
გადახდილი ავანსები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	მოთხოვნები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	95 662,00
2		
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	95 662,00



შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
	სალარო	18 367,00
	ბანკი	302 940,00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	321 307,00



დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

Two handwritten signatures in blue ink. The top signature is more complex and stylized, while the bottom signature is simpler and more fluid.

შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	356 468,00
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		
13		
14		
15		
16		
	<u>ჯამი</u>	<u>356 468,00</u>



დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:



შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	საგადასახადო ვალდებულება	-
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:



შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

შენიშვნა 7 - სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	სესხი პროკრედიტ ბანკიდან	485 703,00
1,1		
1,2		
1,3		
	სულ სასესხო ვალდებულებები	485 703,00



Handwritten signatures in blue ink, including a large signature and a smaller one to the left.

შპს "როტო პრინტი" (ს/კ 405171077)

შენიშვნა 9 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	205 612,00	171 415,00	377 027,00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	569 731,00		569 731,00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		- 171 415,00	- 171 415,00
4	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	775 343,00	-	775 343,00

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს/კ 405171077)
განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „როტო პრინტი“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 13 ოქტომბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405171077.

1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- როტოგრაფიული ბეჭდვა ეტიკეტებისა და შესაფუთი მასალების, ბეჭდვასთან დაკავშირებული მასალების შეძენა-რეალიზაცია პოლიეთილენის პარკების წარმოება, ბეჭდვა-ლამინირება.

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. საზოგადოების მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად.

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა შესრულება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

2.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ

ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;

2.6. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2.7. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;

2.8. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;

2.9. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);

2.10. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

2.12. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება

საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;

2.13. ხელფასის დარიცხვა ხდება ბრძანებისა და შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო და საპენსიო გადასახადი. დარჩენილი თანხა გადასახადების გადახდის შემდეგ გადაერიცხება თანამშრომელს;

2.14. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;

2.15. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

2.16. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორს შეუძლია გაზარდოს საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.

2.17. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:

- ბალანსს ((შენიშვნებით);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.